ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5673012

ნომერი: AR1860447

თარიღი : 04.11.2021

გაცემის თარიღი : 08.11.2021

გაცნობის თარიღი : 10.11.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის ქუჩა, N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაურ გაბაიძე პ/ნ 61002000241
- ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ.38 ბ.8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 ოქტომბრის №5124637 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 4 ნოემბერს №AR1860447 განცხადებით მომართა ზაურ გაბაიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 2

ოქტომბრის №5124637 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 8 ნოემბრის №4255555 ბრძანებით, მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო-საოფისე) B და C ბლოკების მშენებლობის ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 8 ნოემბრიდან 2020 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 2 ოქტომბრის №5124637 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2018 წლის 8 ნოემბრის №4255555 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 2 ოქტომბრიდან 2022 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2020 წლის 2 ოქტომბრის №5124637 ბრძანებაში არასწორად არის განსაზღვრული მშენებლობის ვადა, კერძოდ „2020 წლის 2 ოქტომბრიდან 2022 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა „2020 წლის 2 ოქტომბრიდან 2021 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით“.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 26 სექტემბრის №AR1776120 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე და სამსახურის 2020 წლის 2 ოქტომბრის №5124637 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2020 წლის 2 ოქტომბრიდან 2022 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 ოქტომბრის №5124637 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 ოქტომბრის №5124637 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 8 ნოემბრის №4255555 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 2 ოქტომბრიდან 2022 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით."."
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 2 ოქტომბრის №5124637 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2020 წლის 2 ოქტომბრის №5124637 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.